ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის
დირექტორის თინა თუთბერიძის
მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ სამუსიკო სკოლაში 2021- 2022 სასწავლო წელს განათლებას ეუფლებოდა 237 მოსწავლე 4 სხვადასხვა სპეციალობას, როგორიცაა: ფორტეპიანო, გიტარა, ვიოლინო, საესტრადო ვოკალი.

გაგაცნობთ 2022 წელში ჩატარებულ ღონისძიებებს:

მარტის თვეში პიანისტმა ვლერიან შიუკაშვილმა მოუსმინა მოსწავლეებს და გამორჩეულ 7 პატარა შემსრულებელს დაუნიშნა სტიპენდიები, უფასო მასტერ კლასები და დაუფინანსა სენაკის ფესტივალში მონაწილეობა

აპრილის თვეში რ ლაღიძის სამუსიკო სკოლამ უმასპინძლა საქართველოს ხელოვანთა კავშირის ,,ხელოვანები მომავლისათვის'' რესპუბლიკური კონკურს- ფესტივალის ,,მომავლის ვარსკვლავების'' რეგიონალურ ტურს და რეგულაციების მკაცრი დაცვით ჩატარდა ჭიათურის, ხარაგაულის, თერჯოლის და ადგილობრივი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მოსმენები. რეგიონალურ ტურში მონაწილე 10 მოსწავლიდან 5 განსაკუთრებულად წარმატებული მოსწავლე მიწვეული იქნა თბილისში, გალა კონცერტისთვის, აქედან 2 მოსწავლე დაჯილდოვდა განსაკუთრებული ნომინაციით და ფასიანი საჩუქრით.

ქ. ქუთაისში გამართულ მე-3 ეროვნულ თეორიულ კონფერენციაზე მთავარი პრიზი და ფულადი პრემია დაიმსახურა კონფერენციაში მონაწილე 1 მოსწავლემ.

სამუსიკო სკოლაში ჩატარდა ეტიუდების სასკოლო კონკურსი, რომელშიც 19 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ყველა მათგანი დაჯილდოვდა შესაბამისი ადგილით და დიპლომებით.

მაისის თვეში სენაკის ART FEST -ზე მონაწილე 28 მოსწავლიდან მოსწავლიდან სიგელი დაიმსახურა 4-მა, ხოლო საპატიო დიპლომი 24 -მა მოსწავლემ, მათგან ერთი გახდა ფესტივალის აღმოჩენა, ლაურეატი და გალა კონცერტზე დაჯილდოვდა ფესტივალის მთავრი პრიზით და მიწვეულია ფრანკფურტის საერტაშორისო კონკურსზე.

მონაწილეობა მივიღეთ ფესტივალ ,,მხიარულ ნოტებში, სადაც ჩვენი3 მოსწავლე გახდა გამარჯვებული

ივნისის თვეში ერთი მოსწავლე გახდა შალვადავითაშვილის სახ. საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და საპრიზო ადგილიც მოიპოვა.

თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ერტმა მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო ედიშერ სავიცკის მასტერკლასებში.

ივლისში ბორჯომის ,,ახალგაზრდა შემსრულებელთა მე-2 საერთაშორისო კონკურსზე'' ორმა მოსწავლემ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში მოიპოვა მე-3 საპრიზო ადგილი და ლაურეატის წოდება.

ამ გასვლითი ღონისძიებების პარალელურად სასწავლო წლის ბოლოს ორგანიზებულად ჩატარდა კონცერტების კვირეული, რომელიც მიეძღვნა რ. ლაღიძის სამუსიკო სკოლის 90

წლის იუბილეს: პირველკლასელთა კონცერტი, ,,მუსიკალური კალენდრის'' ორი კონცერტი, აკადემიური კონცერტი,
ანსამბლების და აკომპანიმენტების კონცერტი, ვოკალური განყოფილების 2 კონცერტი, მე-6 კლასელთა გამოსაშვები კონცერტი, ლაურეატ მოსწავლეთა საანგარიშო კონცერტი, პედაგოგთა კონცერტი. გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები.

სხვადასხვა დროს სიამოვნებით ვუმასპინძლეთ ჩვენ აღზრდილ, წარმატებულ 2 მოსწავლეს, რომლებმაც სწავლა გააგრძელეს მუსიკალური განათლების მაღალ საფეხურებზე და წელს წარმატებით ჩაირიცხნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის პირველ კურსზე.

სექტემბრის ბოლოს მონაწილეობა მივიღეთ ალ. ნიჟარაძის სახ. პიანისტთა მუსიკალურ ფორუმსი (თბილისი) .

ოქტომბერში ვუმასპინძლეთ ასოცირებულ პროფესორს , პიანისტ ვატო ჟორდანიას- კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციის ხელშეწყობისათვის.

გავმართეთ სამუსიკო სკოლის 90 წლის იუბილისადმი მიძღვნილი დასკვნითი საზეიმო კონცერტი, რომელსაც ესწრებოდა სტუმრები ლიეტუვიდან და ისრაელიდან.
უმცროს კლასელთა გუნდმა ბავშვთა და მოზარდთა ახალგაზრდული საგუნდო კოლექტი-ვების მე-6 ეროვნულ კონკურსში მოიპოვა მე- 2 ადგილი.

დეკემბერში ბათუმში გამართულ კლასიკური მუსიკის მე-15 საფესტიბალო პროექტში ,,ფესტივალიდან ფესტივალამდე" ოთხმა მოსწავლემ დაუკრა სიმფონიურ ორკესტრთან.

პიანისტმა ვ.შიუკაშვილმა ჩაატარა ტექ. ეტიუდების ღია მოსმენა, რომელშიც მონაწილეობდა სკოლის 18 მოსწავლე.

წლის ბოლოს ჩატარდა გეგმიური ჩათვლები და საახალწლო აკ. კონცერტი.
აღსანიშნავია, რომ დიდი მოტივაცია იყო მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის ახალი საკონცერტო როიალი, რომელიც კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტების კონკურსში გამარჯვებით მოპოვებული გრანტით შევიძინეთ.

სამუსიკო სკოლის დირექტორი: თ. თუთბერიძე

ააიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის

2022 წლის საკასო შესრულება

გაცნობებთ, რომ რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლას 2022 წელს სუბსიდია ჩაერიცხა 251 952 ლარი, საიდანაც ხელფასის ფონდში გაიხარჯა 241 528 ლარი; პრემია 10 424 ლარი.

ნაშთი სკოლას 01.01.2022 წლისათვის ქონდა 3 078 ლარი. მშობელთა შემონატანმა 2022 წელს შეადგინა 27 784 ლარი, აქედან გაიხარჯა მივლინება 507 ლარი, ოფისის ხარჯი 8 945ლარი, კომუნალური ხარჯი 10 201 ლარი, სხვა ხარჯი 2 100 ლარი. სულ მშობელთა შემონატანით ხარჯმა შეადგინა 21 753 ლარი.
სკოლას 01.01.2023 წლისათვის ნაშთი მშობელთა შემონატანით დარჩა 9 109 ლარი.

სამუსიკო სკოლის დირექტორი: /თინა თუთბერიძე/

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	სულ ორგანიზაციის ბიუჯეტი	საკუთარი შემოსავლები	სუბსიდია	სულ ორგანიზაციის ბიუჯეტი შესრულება	საკუთარი შემოსავლები შესრულება	სუბსიდია
05 02 06	ა.ა.ი.პ ე. რ. ლაღიძის სამუსიკო სკოლა	283.0	31.0	252.0	273.7	21.8	251.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	49.0		49.0	49.0		49.0
2	ხარჯები	282.5	30.5	252.0	273.7	21.8	251.9
2.1	შრომის ანაზღაურება	252.0	0.0	252.0	251.9	0.0	251.9
2.1.1	ხელფასი	252.0	0.0	252.0	251.9	0.0	251.9
2.1.1.1	ხელფასები ფულადი ფორმით	252.0	0.0	252.0	251.9	0.0	251.9
2.1.1.1.1	თანამდებობრივი სარგო	241.6		241.6	241.5		241.5
2.1.1.1.3	პრემია	10.4	0.0	10.4	10.4	0.0	10.4
2.2	საქონელი და მომსახურება	29.5	29.5	0.0	21.0	21.0	0.0
2.2.2	მივლინებები	1.5	1.5	0.0	0.5	0.5	0.0
2.2.2.1	მივლინება ქვეყნის შიგნით	1.5	1.5	0.0	0.5	0.5	0.0
2.2.2.2	მივლინება ქვეყნის გარეთ	0.0		0.0	0.0	0.0	0.0
2.2.3	ოფისის ხარჯები	14.9	14.9	0.0	11.4	11.4	0.0
2.2.3.1	საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა	1.5	1.5		0.5	0.5	
2.2.3.4	მცირეფასიანი საოფისე ტექტნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	0.5	0.5		0.1	0.1	
2.2.3.4.5	კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა	0.5	0.5		0.1	0.1	
2.2.3.7	რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი	1.5	1.5		0.6	0.6	
2.2.3.10	კავშირგაბმულობის ხარჯი	1.0	1.0		0.9	0.9	
2.2.3.12	კომუნალური ხარჯი	10.4	10.4	0.0	9.3	9.3	0.0
2.2.3.12.1	ელექტროენერგიის ხარჯი	0.8	0.8		0.7	0.7	
2.2.3.12.2	წყლის ხარჯი	1.1	1.1		0.8	0.8	0.0
2.2.3.12.3	ბუნებრივი და თხევადი არის ხარჯი	8.5	8.5		7.8	7.8	
2.2.4	წარმომადგენლობითი ხარჯები	2.2	2.2		2.1	2.1	
2.2.10	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	10.9	10.9		7.0	7.0	
2.2.10.14	სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	10.9	10.9		7.0	7.0	0.0
2.8.2.1.15	გადასახადები (გარდა საშემოსავლო და საქონლის ღირებულებაში	1.0	1.0		0.3	0.3	

31	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.5	0.5	0.0	0.5	0.5	0.0
31.1	ძირითადი აქტივები	0.5	0.5	0.0	0.5	0.5	0.0
31.1.2	მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.5	0.5	0.0	0.5	0.5	0.0
31.1.2.2	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა	0.5	0.5	0.0	0.5	0.5	0.0
31.1.2.2.20	*სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა რომელიც არ არის*	0.5	0.5	0.0	0.5	0.5	0.0
31.1.3	სხვა ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0